შპს „ედრი+“

კონსტრუქციული დასკვნა
ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე №64ა-ში (ს.კ. № 01.14.11.002.036) მდებარე ოცდაოთხსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ



თბილისი
2024 წელი

კონსტრუქციული დასკვნა
ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე №64ა-ში (ს.კ. № 01.14.11.002.036) მდებარე ოცდაოთხსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

ქ. თბილისი 2024 წლის 21 მაისი

დავალების თანახმად შესწავლილ იქნა ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე, №64ა-ში მდებარე, შპს „ჭავჭავაძის 64ბ“-ს (ID ნომერი: 404890891) საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე [მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.14.11.002.036. განცხადების რეგისტრაციის ნომერი № 882023016086 – 11/01/2023] მდებარე მშენებლობადასრულებული, მრავალფუნქციური შენობა-კომპლექსის (საცხოვრებელი) შენობის (შენობა 01/20 საკადასტრო გეგმის მიხედვით), კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა, მიწისპირა სართულის დონეზე, შეთანხმებული პროექტის მიხედვით (AR1724354): მთავარ ფასადზე, „B“ ღერძზე, „6-7“ ღერძებს შორის არსებული ვიტრაჟის ნაცვლად და „E“ ღერძზე, „5-6“ ღერძებს შორის შემავსებელ კედელში კარის ღიობების მოწყობის სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობის შესახებ, შენობის შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაციის პირობებში.

დამკვეთმა მოგვაწოდა დაგეგმილი სამუშაოების ფოტომონტაჟი, სადაც დაფიქსირებულია კარების ღიობების მოწყობის ადგილები და მათი გაბარიტული ზომები. ღიობების მოწყობის ადგილებში, ჩვენს მიერ შესწავლილი შენობის კონსტრუქციული ელემენტების გამოკვლევისდროინდელი მდგომარეობა დაფიქსირებულია ფოტომასალაზე, რომელიც დასკვნას თან ახლავს დანართის სახით.

ჩვენს წინაშე დასმული ამოცანის შესასრულებლად შევისწავლეთ ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე, №64ა-ში მდებარე, შპს „ჭავჭავაძის 64ბ“-ს საკუთრებაში არსებული მრავალფუნქციური შენობა-კომპლექსის (საცხოვრებელი) შენობის (შენობა 01/20 საკადასტრო გეგმის მიხედვით) კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა. დამკვეთის ინფორმაციით შენობა მიღებულია ექსპლუატაციაში. დამკვეთს დაგეგმილი აქვს რომ, მთავარ ფასადზე, „B“ ღერძზე, „6-7“ ღერძებს შორის არსებული ვიტრაჟის ნაცვლად და „E“ ღერძზე, „5-6“ ღერძებს შორის შემავსებელ კედელში მოაწყოს კარის ღიობები.

კონსტრუქციული სქემის მიხედვით შენობის საანგარიშო სქემა ჩარჩოვან-კავშიორებიანი სისტემაა – სისტემა, რომელიც შედგება კარკასის ჩარჩოებისგან და ვერტიკალური სიხისტის დიაფრაგმებისგან,

რომლებიც თავის თავზე იღებენ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ დატვირთვებს და შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონისაგან. მთავარ ფასადზე, „B“ ღერძზე, „6-7“ ღერძებს შორის მოწყობილია ალუმინის ვიტრაჟები. ლუმინის ვიტრაჟები მოწყობილია მონოლითური რკინაბეტონის კარკასის ელემენტებს შორის და წარმოადგენს შემავსებელ კონსტრუქციას. ალუმინის ვიტრაჟის ნაცვლად ალუმინის კარების მოწყობა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, რადგანაც მისი შეცვლა კარკასის კონსტრუქციულ ცვლილებას არ გამოიწვევს. ოდნავ განსხვავებული, მაგრამ იგივე მდგომარეობაა „E“ ღერძზე, „5-6“ ღერძებს შორის არსებულ კედელში კარის ღიობის მოწყობის თაობაზე. ზემოაღნიშნული კედელი წარმოადგენს შემავსებელს მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოს ელემენტებს შორის და შესრულებულია ე.წ. „ბეტოპანი“-ს ფილებს შორის მოწყობილი დამათბუნებელი ფენითა და გარედან ე.წ. „აკვაპანელი“-ს მოსაპირკეტებელი ფილებით. აღნიშნული ფილების დასამაგრებლად გამოყენებულია სპეციალური კარკასი ვერტიკალური დგარებითა და ჰორიზონტალური მიმმართველებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე, №64ა-ში მდებარე, შპს „ჭავჭავაძის 64ბ“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე [მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.14.11.002.036. განცხადების რეგისტრაციის ნომერი № 882023016086 – 11/01/2023] მდებარე მშენებლობადასრულებული, მრავალფუნქციური შენობა-კომპლექსის (საცხოვრებელი) შენობის (შენობა 01/20 საკადასტრო გეგმის მიხედვით) მთავარ ფასადზე, „B“ ღერძზე, „6-7“ ღერძებს შორის არსებული ვიტრაჟის ნაცვლად და „E“ ღერძზე, „5-6“ ღერძებს შორის შემავსებელ კედელში კარის ღიობების მოწყობა შესაძლებელია და ეს ცვლილება არ გააუარესებს შენობის კონსტრუქციულ მდგომარეობას, რადგანაც ორთავე კარის ღიობი ეწყობა მზიდ ჩარჩოებს შორის არსებულ შემავსებელ ელემენტებში და კარკასის ელემენტებზე უარყოფით გავლენას ვერ მოახდენენ.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობის დროს დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ტექნიკა 2019 წლის 19 თებერვლის საქართველოს ორგანული კანონის - „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361-ე დადგენილების – „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხარისხიანად და კვალიფიციურად შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების პირობებში დაცული იქნება ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე, №64ა-ში მდებარე, შპს „ჭავჭავაძის 64ბ“-ს საკუთრებაში არსებული მრავალფუნქციური შენობა-კომპლექსის (საცხოვრებელი) შენობის (შენობა 01/20 საკადასტრო

გეგმის მიხედვით) კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა და კარის ღიობის მოწყობის სამუშაოების დასრულების შემდეგ და შესაძლებელი იქნება მთლიანად შენობის უსაფრთხო ექსპლოატაცია.

შ.პ.ს. „ედრი+“-ის დირექტორი ი. მანწკავა

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე
საკ. ტელ: 5.77 757 028; 5.98 922 254

დანართი



„B“ ღერძზე, „6-7“ ღერძებს შორის არსებული ვიტრაჟი ფასადის მხრიდან



„B“ ღერძზე, „6-7“ ღერძებს შორის არსებული ვიტრაჟი სათავსოს მხრიდან



„E“ ღერძზე, „5-6“ ღერძებს შორის, ე.წ. „ბეტონპანი“-ს ფილებს შორის მოწყობილი დამათბუნებელი ფენითა და გარედან ე.წ. „აკვაპანელი“-ს მოსაპირკეტებელი ფილებით შესრულებული შემავსებელი კედელი. არის ღიობი უნდა მოეწყოს არსებული ღიობის ანალოგიურად.